

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შპს „თეთრი ქუდი“

ს/კ 406030012

მის: საქართველო, გარდაბნის რაიონი, კრწანისი,

რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კმ

tetriqudi@yahoo.com ; 595364300

551-25-05-75

### სკრინინგის განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, კრწანისი, რუსთავის გზატკეცილი მე-17 კმ-ში ფუნქციონირებდა შპს „თეთრი ქუდის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე კომპანიის კუთვნილი სოკოს საწარმო.

2020 წლის 9 მარტის გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს დადგენილებით (საქმე N4-665-19) შპს „თეთრი ქუდი“ ცნობილ იქნა სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს ნარჩენების კოდექსის 43-მე მუხლის მე-2 ნაწილით და 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომებისთვის.

როგორც ცნობილია, სოკოს წარმოებაში გამოიყენება კომპოსტი, რომელსაც კომპანია ადგილზე აწარმოებდა და კომპანიის საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას.

მოგმართავთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ 7-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სკრინინგის პროცედურების გავლის მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

### ტერიტორიის დახასიათება, ფონური მდგომარეობა


კომპანიის კუთვნილი ტერიტორია განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, კრწანისი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კმ-ში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ( ს/კ N 02.08.01.029; ს/კ N 02.08.01.030). ტერიტორია ზღვის დონიდან განლაგებულია დაახლოებით 375მ. სიმაღლეზე. დასავლეთით კომპანიის კუთვნილ ტერიტორიას ესაზღვრება შპს „ავანგარდი“-ის კუთვნილი ტერიტორია. ასევე, დასავლეთით მდებარეობს სოფელი მთსიძირი და აღნიშნულ დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში კომპანიის ტერიტორია დაშორებულია 590 მ-ით. დასავლეთით ასევე მდებარეობს კუმისის ტბა დაახლოებით 6.5 კმ-ში. ტერიტორიის ჩრდილოეთით რამდენიმე მეტრში გადის საავტომობილო გზა და გზის შემდგომ 80მ-ში მდებარეობს უსახელო მდინარის კალაპოტე.



ტერიტორიას ასევე, ჩრდილოეთით ესაზღვრება სს „საპარტნიორო ფონდი“-ს კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღმოსავლეთით 2კმ-ში მდებარეობს მდ. მტკვარი. სამხრეთით გარდაზნის ალკვეთილი 13.2კმ-ში. ტერიტორია მთავარი მაგისტრალიდან დაშორებულია 530მ-ით.

ტერიტორიულ-ვიზუალური შეფასებით ტერიტორია ანტროპოგენულად სახეცვლილია და წლების მაძილზე განიცდიდა დიდ ზემოქმედებას. ძირითადად ტერიტორია გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა პროდუქციის დასამზადებლად, სადაც განთავსებული იყო მრავალი შენობა-ნაგებობები სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვით.

დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე განთავსებულია მრავალი კაპიტალური შენობა, თავისი დამხმარე ინფრასტრუქტურით, რომელიც მთლიანად ჩართულია სოკოს წარმოების პროცესში.



## ფლორა

გეობოტანიკური თვალსაზრისით საკვლევი არეალი მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო ქართლის ბარის გეობოტანიკურ რაიონს, სადაც კლიმატი მშრალ კონტინენტურ სუბტროპიკულ ჰავას წარმოადგენს. ნალექების საშუალო რაოდენობა 350 მმ-ია. საკვლევი ტერიტორია ძალზე სახეცვლილია ადამიანის საქმიანობიდან გამომდინარე.

ტერიტორიის მდელს მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალპროდუქტიული სამოვარია და მცენარეულობა ძლიერ არის გადაძვივლილი საქონლის მიერ. ბუნებრივი ხე-ბუჩქები ტერიტორიაზე არ გვხვდება, არის მონაკვეთები რომელიც ბალახოვან მცენარეულობას სრულიად მოკლებულია.

ძირითადი ბუნებრივი მცენარეული საფარი, რომლითაც დაფარულია საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ, სტეპური ცენოკომპლექსებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთებია: ავშანი *Artemisia phyllostachys*, ურო *Botriochloa ischaemum* (*Andropogon ischaemum*), ნარი *Eryngium* sp., ველის წივანა, ქუჩი *Festuca valesiaca*, ლემა *Datura stramonium*, ვარდკაჭაჭა *Cichorium intybus* ულეწელა *Chondrilla juncea*, ფარსმანდუკი *Alchemilla filipendula*, თბილისური ურცი *Astragalus borissovae*.

ზოგან, ხელოვნურად გაყვანილ არხების გასწვრივ მეჩხრად არის გავრცელებული ტენის მოყვარული ბალახოვანი მცენარეები - წალიკა *Polygonum hydropiper* და ლელი *Phragmites communis*. ადრე გაზაფხულზე უროიან სტეპებში უხვად ვითარდება ეფემერული და ბოლქვიანი მცენარეები.

### ფაუნა

რადგან ტერიტორია ძირეულად არის გარდაქმნილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იგი სხვადასხვა ცხოველთა თავშესაფარს წარმოადგენდეს, რაც ტერიტორიის შემოვლისას დასტურდება. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლებელია აღირიცხოს ცხოველთა და ფრინველთა შემდეგი სახეობები: ამფიბიები საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, წყლიან გუბურებში შესაძლებელია შევხვდეთ ტბის ბაყაყს *Rana ridibunda*. ქვეწარმავლები ზაფხულის ცხელ დღეებში შესაძლებელია ტერიტორიაზე ცხოველისათვის ხელსაყრელ მიდამოებში ხმელთაშუაზღვეთის კუ-ს *Testudo graeca*, გველბოკერას *Pseudopus apodus*, გიურზას *Macrovipera lebetina* და ზოლიანი ხელიკი *Lacerta strigata* ნახვა.

### ფრინველები

საწარმოს სიახლოვეს, კვლევის პერიოდში ნანახი იქნა შემდეგი ფრინველები: ოფოფი *Upupa epops*, კვირიონი *Merops apiaster*, მინდვრის ტოროლა *Alauda arvensis*, კაჭკაჭი *Pica pica*, ყვავი *Corvus cornix*, მინდვრის ბელურა *Passer montanus*; შემოდგომის თვეებში ფრინველთა გადაფრენის დროს ხშირია მწყერი *Coturnix coturnix*,

### ძუძუმწოვრები

ძუძუმწოვრებიდან, საკვლევ ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია - ზღარბი *Erinaceus concolor*. გარდა ამისა შესაძლებელია ტერიტორიაზე ბინადრობდეს მინდვრის თავვი *Apodemus agrarius* და საზოგადოებრივი მემინდვრია *Microtus socialis*.

### უხერხემლოები

საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული უხერხემლო ცხოველთა შემადგენლობა ასეთია: ობობასნაირები *Arachnida*, მცირეჯაგრიანი ჭიები *Oligochaeta*, ნემსიყლაპიები *Odonata*, ქერცლფრთიანები *Lepidoptera*, სწორფრთიანები *Orthoptera*, ხეშეშფრთიანები *Coleoptera*, სიფრიფანფრთიანები *Hymenoptera*, ორფრთიანები - კოლოები, ბუზები *Diptera*, ჩოქელები *Mantodea* და სხვა.

## ტექნოლოგიის მოკლე აღწერა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა უკავშირდება ქაშა და ხის სოკოს მოყვანას, რისთვისაც საჭიროებს კომპოსტის წარმოებას (ნარჩენების აღდგენას). კომპოსტის ნედლეულისთვის გამოიყენება ნამჯა, ქათმის ექსკრემენტები, გიფსი და კარბამიდი ასევე, ტორფი.

ძირითადი ნედლეული, ქათმის ექსკრემენტები ტერიტორიაზე შემოდის კომპანია „ჩირინა“-ს კუთვნილი საწარმოებიდან. ტორფი შემოდის იმპორტის სახით სომხეთის რესპუბლიკიდან. ხოლო, ნამჯის შექმნა ხდება ახლომდებარე მუნიციპალიტეტებიდან: კახეთი, ბოლნისი, მარნეული და ა.შ. გიფსის და კარბამიდის შექმნა ხდება ადგილობრივ ბაზარზე.

კომპოსტირებისთვის საჭირო ყველა ნედლეული შემოიზიდება ტერიტორიაზე ავტოტრანპორტით და განთავსდება სპეციალურად მათთვის განკუთვნილ, კაპიტალურ შენობაში, გარდა ნამჯისა.

ნედლეულის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება ძირითადად მჭიდროდ დასახლებული პუნქტებისგან დაშორებული საავტომობილო გზები და მაგისტრალები რაც მნიშვნელოვნად ამცირებს უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

ტერიტორიაზე განთავსებულია ნამჯის დამუშავებელი აპარატი, სადაც ხდება ნამჯის გადამუშავება-მომზადება შერევისთვის, სადაც მას შეერევა გიფსი, კარბამიდი და ფრინველის ექსკრემენტები. აღნიშნულის შემდგომ, ხორციელდება შერეული მასის წყლით დატენიანება და სპეციალური ავტო-სატვითველით მათი სპეციალურ ბუნკერებში განთავსება. ბუნკერებში მოწყობილია აეროზაციისთვის ყველა ტექნიკური პირობა, რომ არ მოხდეს კომპოსტის ტემპერატურული რეჟიმის დამზადების შეფერხება.

აღნიშნული ტექნოლოგიურ ციკლში გამოიყენება ტერიტორიაზე არსებული წყლის სპეციალური რეზერვუარები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპოსტირების პროცესში ტენიანობის შესანარჩუნებლად ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფას.

კომპოსტის მომზადების პროცესს ახასიათებს უსიამოვნო სუნი, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ხორციელდება კომპოსტის აეროზაცია-სპეციალური ტექნიკით სხვადასხვა ბუნკერებში გადაადგილება, სანამ სასურველ კონდიციას მიაღწევს.

მომზადებული მასა გადის პასტერიზაციას და კონდენსაციას სპეციალურად მოწყობილ დახურულ ტუნელებში. შემდგომი ეტაპი მოიცავს სოკოს თესვას(მიცელიუმი),რომლის ინკუბაციის პერიოდიც გადის სპეციალურ დახურულ ტუნელებში. ამის შემდგომ, ხდება მიღებული მასის სპეციალურ სადგარზე განთავსება, ტორფთან შერევა და სპეციალურ სათბურში განთავსება თაროებზე, სადაც მიმდინარეობს სოკოს მოყვანა.

საწარმოში დაგეგმილია თვეში დაახლოებით 180-200 ტ სოკოს დამზადება და რეალიზაცია.

აღნიშნული წარმადობისთვის გათვალისწინებულია თვეში შემდეგი რაოდენობის ნედლეულის გადამუშავება-ნარჩენების აღდგენა:

ნამჯა: 360 ტ

ფრინველის ექსკრემენტები: 280 ტ.

გიფსი: 36 ტ.

კარბამიდი: 3,6 ტ.

ტორფი: 80 ტ.

ტერიტორია უზრუნველყოფილია ყველა საჭირო კომუნიკაციით, დენის მიწოდება ხორციელდება ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიის მიერ. სასმელ სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის კომპანია წყალს ყიდულობს ბუტილიზებული სახით და ტერიტორიაზე შემოაქვს ავტოცისტერნებით.

შენიშვნა: მომავალში კომპანია გამოყენებული კომპოსტის რეალიზებას გეგმავს და აქედან გამომდინარე კომპოსტს როგორც საწარმოო ნარჩენს არ განიხილავს.

დასკვნები:

- საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები;
- საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ტყით დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს;
- საწარმოსათვის განკუთვნილი ტერიტორია გარშემორტყმულია ანთროპოგენური ზემოქმედებით დეგრადირებული ტერიტორიებით;
- საწარმოსათვის განკუთვნილ ტერიტორიის სიახლოვეს ჭარბტენიანი ტერიტორიები წარმოდგენილი არაა;
- უახლოესი ჭარბტენიანი ტერიტორია კრწანისის ტყე-პარკში არსებული ტბებია, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 2 კმ-ში მდებარეობს;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ გამოიწვევს მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკის გაზრდას.
- ტერიტორია ადაპტირებულია საქმიანობისთვის;
- საწარმოს ექსპლუატაციისთვის დამატებით რაიმე სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი არ გახლავთ;

დანართი:

- 1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (4გვ);
- 2) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (4გვ);
- 3) საკადასტრო გეგმა (2გვ)

შპს „თეთრი ქუდის“ დირექტორი



რენატო გრიგორიანი